ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი

/2021 წელი, იანვარი-ივნისი/

სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის საქმიანობის ერთ-ერთი მიმართულებაა ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლი. სამსახური ზედამხედველობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 136-138-ე მუხლებით გათვალისწინებულ საგამოძიებო მოქმედებებს, ასევე, 143[1] მუხლის პირველი ნაწილით განსაზღვრულ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებს.

ფარული საგამოძიებო მოქმედებებისა და ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების გასაკონტროლებლად, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურს 24-საათიან რეჟიმში მიეწოდება სასამართლოს განჩინებები ასეთი მოქმედებების ჩატარების ნებართვის გაცემის შესახებ, პროკურორის დადგენილებები გადაუდებელი აუცილებლობისას ფარული საგამოძიებო მოქმედების ჩატარებაზე და სამართალდამცავი ორგანოების მიერ ფარულ საგამოძიებო მოქმედებებთან დაკავშირებით შედგენილი ოქმები. სამსახურში ასევე, შემოდის დოკუმენტები, რომლებიც ასახავს ელექტრონული კომუნიკაციის კომპანიების მიერ კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა გადაცემას სამართალდამცავი ორგანოებისთვის. სამსახური ამოწმებს მიღებულ დოკუმენტებს, ადარებს ელექტრონულ სისტემებში ასახულ ინფორმაციას, დოკუმენტაციაში ასახული მონაცემები შეაქვს ფარული საგამოძიებო მოქმედებების აღრიცხვის შიდა ელექტრონულ სისტემაში და აანალიზებს მათ.

ზემოთ მითითებული მექანიზმების გარდა, ფარული საგამოძიებო მოქმედების - სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადებისა და ჩაწერის მონიტორინგისთვის, სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური იყენებს კონტროლის ელექტრონულ და სპეციალურ ელექტრონულ სისტემებს, ხოლო ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებული აქტივობების კონტროლისათვის გამოიყენება ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემა.

2021 წლის 1-ლი იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით პერიოდში:

- სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურმა მიმდინარე სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის შეჩერების მექანიზმი (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 54 შემთხვევაში გამოიყენა, რაც გამოწვეული იყო კანონით დადგენილ ვადაში სასამართლოს გადაწყვეტილების წარმოუდგენლობით (49 შემთხვევა), პროკურორის დადგენილებაში არსებული ბუნდოვანება-უზუსტობით (4 შემთხვევა) და სისტემაში დაფიქსირებული ინციდენტით (1 შემთხვევა).
- სასამართლოს მიერ გაცემულ განჩინებებში არსებულ ბუნდოვანება-უზუსტობაზე სსიპ საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკურ სააგენტოს (კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით) 9-ჯერ ეცნობა.
- კონტროლის ელექტრონული სისტემის საშუალებით სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის პროცესში დაფიქსირდა 1 ინციდენტი.[1]
- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალური ბანკის კონტროლის ელექტრონული სისტემით სახელმწიფო ინსპექტორისათვის მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკიდან სსიპ ოპერატიულ ტექნიკური სააგენტოს მიერ მონაცემები 41-ჯერ გაიცა სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებების საფუძველზე.
- ელექტრონული კომუნიკაციის მაიდენტიფიცირებელ მონაცემთა ცენტრალურ ბანკში განხორციელებულ აქტივობათა კონტროლისას რაიმე ხარვეზი ან ინციდენტი არ გამოვლენილა.

[1] სატელეფონო კომუნიკაციის ფარული მიყურადება-ჩაწერის პროცესში დაფიქსირებულ ინციდენტში იგულისხმება კონტროლის ელექტრონულ სისტემის და კონტროლის სპეციალურ ელექტრონულ სისტემის მართვის პროცესში დაფიქსირებული შემთხვევა, რომელიც შეიცავდა სამართალდარღვევის სავარაუდო ნიშნებს.